



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუმბულიძე იაკობ მიხეილის ძე

გუმბულიძე იაკობ მიხეილის ძე (XVIII ს. 20-იანი წლები, რუსეთი, – 1800, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1781). გ-მ სამხ. სამსახური დაიწყო 1756. მონაწილეობდა შვიდწლიან ომში (1756–63), თავი გამოიჩინა კოლბერგთან ბრძოლაში (1761). რუსეთ-ოსმალეთის ომში (1768–74) გამოჩენილი მამაცობისათვის 1770 წ. 1 ნოემბერს დაჯილდოვდა წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით. 1781–93 იყო ორენბურგის ობერკომენდანტი. 1796 სამხ. სამსახურიდან გადადგა.

ლ. დოლიძე
